## სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის

## საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2023 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში შედის სამი განყოფილება: საბიუჯეტო დაგეგმვის; ხაზინის განყოფილება და საბუღალტრო აღრიცხვის. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამუშაო გეგმა და ამოცანები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „საბიუჯეტო კოდექსი", საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით და ბრძანებებით, მუნიციპალიტეტის მერიის და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულებით.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი იქნა ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი"-ს კვარტალური განწერა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა კვარტლების მიხედვით და აიტვირთვა ბიუჯეტის მმართვის ელექტრონულ სისტემაში, სახაზინო კოდების მიხედვით.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური სისტემატურად ახორციელებდა კონტროლს საბანკო დაწესებულებების მიერ საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის შემოსავლების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამიჯვნის სისწორეზე და ბიუჯეტის დადგენილი წესით საკასო შესრულებაზე. ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ვამზადებდით ანგარიშს. ასევე, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში წარვუდგენთ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა 2023 წელს მოამზადა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინა „საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად სენაკის მუნციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის ანგარიშები, რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეფასებულ იქნა დამაკმაყოფილებლად.

სისტემატურად ვუწევთ დახმარებას ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ვატარებთ თემატურ შემოწმებებს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სისწორეზე. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 6 ცვლილება: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 იანვრის №1, 27 თებერვლის №4, 29 ივნისის №10, 29 აგვისტოს №13, 23 ოქტომბრის №16 და 29 დეკემბრის №27 დადგენილებებით, ხოლო სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით 114 ჯერ მოხდა ბიუჯეტის დაზუსტება, რაც დროულად ეცნობა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ასახული იქნა ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი''-ში.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური დებულების შესაბამისად უზრუნველყოფდა ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის შეკრებას, ასევე იღებდა მონაწილეობას ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიმდინარე, კვარტალური და ყოველწლიური ანგარიშების მომზადებაში. საკასო და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის წარმოებაში, დაწესებულ ვადებში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ბალანსის შედგენაში. ასევე ახდენდა სენაკის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეების ხელფასების, მივლინების ხარჯებისა და სხვა გადასახდელების გაცემის მიზნით გაანგარიშებების და შესაბამისი უწყისების მომზადებას.

2023 წლის 1 მარტიდან დავიწყეთ მუშაობა სენაკის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტოდან მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით 2024-2027 წლისათვის 2023 წლის ივლისის თვეში მომზადდა სენაკის მუნიციპლიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. სამსახურმა ასევე მოამზადა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტი 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 2023 წლი 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, მომზადდა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტი და 15 ნოემბერს წარედგენა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხოლო 2023 წლის 24 ნოემბერს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 91-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მივიღეთ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით.

2023 წლის 12 დეკემბერს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს ორგანული კანონის 91-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაეგზავნა: სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, ბიუჯეტის პროგრამული

დანართი, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2024-2027 წლები), ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დასკვნა, ინფორმაცია კაპიტალური პროექტებზე, ა(ა)იპ-ის ხარჯთაღრიცხვები.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფდა საგადასახადო დეკლარაციისა და განაცემთა ინფორმაციის წარდგენას საქართველოს შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, სტატისტიკური ფორმების წარდგენას, ბუღალტერიაში შემოსული აღრიცხვის დოკუმენტების შემოწმებას როგორც ფორმისა (დოკუმენტის სისრულე და გაფორმების სისწორე) და შინაარსის მიხედვით (სამეურნეო ოპერაციის კანონიერება, ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური შესაბამისობა), ასევე, არითმეტიკულად. ძირითად გადამოწმებად პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებს წარმოადგენდა შესრულებული სამუშაოების მიღების ფორმა N2-ები და მიღება-ჩაბარების აქტები. ასევე, ხორციელდებოდა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორებათა სრული და დროული აღრიცხვა მემორიალური ორდერებით ბრუნვათა ბალანსში და ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალურ/ელექტრონული ფორმის დოკუმენტების დადგენილი წესით შენახვა. აღრიცხულია დებიტორ კრედიტორები, შემოსავალში აყვანილია სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული და უსასყიდლოდ მიღებული აქტივები.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 აპრილის #ბ40.40210111 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგი აღწერილია 2023 წლის 31 მარტი #1 ოქმში და ქონების ჩამოსაწერად გაგზავნილია მოხსენებითი ბარათი შესაბამის სამსახურში აუდიტის მოსაწვევად.

მოგახსენებთ, რომ 2023 წელს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ დამუშავებულ და ატვირთულ იქნა სახელმწიფო ხაზინაში დასამკიცებლად ინვოისი 3776, მოთხოვნა 12206, ვალდებულება 243 და პაკეტი 451, შესაბამისად 2023 წლის განმავლობაში ხაზინის განყოფილების მიერ გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 37543.297 (ოცდაჩვიდმეტი მილიონ ხუთასორმოცდასამი ათას ორასოთხმოცდაჩვიდმეტი ) ლარი.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა შეადგინა 5031.910 ათ.ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებმა 21676.801 ლარი, დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯებმა 1392.180 ათ.ლარი , განათლების ხარჯებმა 3668.001 ათ.ლარი, კულტურა, რელიგია

ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯებმა 3782.764 ათ. ლარი, მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა 1991.641 ათ.ლარი.

ხაზინის განყოფილება შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ახდენს ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეების ხელფასების, მივლინების ხარჯებისა და სხვა გადასახდელების გაცემას, მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ ინფორმაციის ყოველდღიურ ყოველთვიურ შეკრება,გაანალიზებას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის მიხედვით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს (საბანკო გარანტიის ან მიღება ჩაბარების აქტი) მიხედვით ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილია მომართვები პერიოდულად განკარგულელების მიხედვით თანხის მოთხოვნაზე.

სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო ( არაკომერციული) იურიდიული პირების ნიერ წარმოდგენილი შესრულების ანგარიში შედგენილია ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ნაერთი საკუთარი და ბიუჯეტის ხარჯების გაშიფვრით.

გაგზავნილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2023 წლის ყოველკვარტალური და წლიური ინფორმაცია შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებაზე, თანამშრომელთა რაოდენობაზე, ადმინისტრაციულ ხარჯებზე, არასამეწარმეო ( არაკომერციული) იურიდიული პირების შესახებ მონაცემები. 2023 წელს მთავრობის განკარგულებით ჩამორიცხული თანხებიდან დარჩენილი აუთვისებელი თანხები დაბრუნებულია სახელმწიფო ხაზინაში.

შედგენილია ინფორმაცია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებისა და პროექტის დასახელებების მიხედვით ყოველკვარტალურად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენად.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში შემოსულია 3767 კორესპოდენცია, ბრძანება 2847 და მომზადებულ იქნა 527 გასული კორესპოდენციები.

ასევე აღსანიშნავია, რომ სამსახურის თანამშრომლები მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა სასწავლო ტრენინგ– სემინარებში, რომელთა ძირითად მიმართულებად განსაზღვრული იყო საქართველოს საბიუჯეტო სისტემის, პროგრამული ბიუჯეტის და პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის, ხაზინისა და ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ძირითადი პრინციპები.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინასო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია